

F 24
1887



თეატრი

საყოველ-კვირათ სალიტერატურო და სამხატვრო გაზეთი

1887 წელსა

№ 9 და 10

მარტის 22.

გაზეთი ღირს: ერთის წლ. 5 მ., ნახ. წლ. 3 მ., ცალკე ნომ. 15 კ. ხელის მოწერა მიიღება: თბილისში რედაქ. კანტორაში. ფოთში ბესარ. კაღანდაქსთან. ადრესი გარეშე მცნოვრებთათვის: Тип-листъ, въ редакцію газеты "ТЕАТРЪ." გაზეთი ისყიდება: თბილისში ჩარკვიანის წიგნის მაღაზიაში; ხიდის ყურთან; ალიხანოვის პაპირო-ზის მაღაზიაში, ქუთაისში: ჭილაძეთ წიგნის მაღაზიაში და ბათუმში პარიკ-მანერ არსენასთან.

საგაზეთოდ დანიშნული წერილები (კორრესპონდენცია) გარკვევით უნდა იყოს დაწერილი. თუ საქიროება მოითხოვს წერილებს რედაქცია შეასწორებს. რედაქცია არა კისრულობს წერილების უკან გაგზავნას და მათ შესანებ მიწერ-მოწერას.

ყოველ წერილში უნდა იყოს მოხსენებული: სახელი, გვარი და საცხოვრებელი ადგილი დამწერისა.

ეს ნაყმური ღირს

სურათით—25 კან. უსურათოთ—15 კან.

სურათი ცალკე—15 კან.

ბერას, ამა მარტის 22-ს, დილის 11 საათზედ, კლოუზნის ეკლესიაში გარდახდილ იქმნება პანაშვიდი ახლად მიცვალბულის, გლეხის იოსებ დავითაშვილის მოსახსენებლად მის ნაცნობთა და მისის ნიჭის-პატივის მცემელთა-მიერ.



† იოსებ დავითაშვილი

ნეკროლოგი.

როგორც გვაცნობებს თელავიდან მოსული ტელეგრაფი, ამ თვის 13-ს იქ გადაცვლილა ჩვენი სასაზღვრო ლექსების მწერალი იოსებ დავითაშვილი.

ბევრს სამწუსარო ფიქრსედ გვაუენებს სიცოცხლეცა და სიკვდილიც ამ ნიჭიერი მელექსისა; ამასთან იმისი ლიტერატურაში გამოსვლა, უნდა აღვიძებდეს ბევრს იმედს ჩვენს სასოწარკვეთილს გულში.

იოსებ დავითაშვილი იყო სულ ემაწვილი კაცი. ის იყო უბრალო დღიური მუშა; დარბი გლეს-კაცის სასაზღვრიდან გამოსული. გარდა ქართულისა არ იცოდა სხვა ენა. სწავლა არსად არა ჰქონდა მიღებული. ანბანი, როგორც თავის შემდეგი ლექსიდანაც ჰსჩანს, ისწავლა თავის დისაგან: აი ის ლექსი:

მკითხებიან გლეხის ბიჭს
 სად შეისწავლე მღერაო,
 ლექსი კარგა გაჩარხული
 მესტვირულების წერაო.

შურს გიგდებთ აბა გვითხარი
 მინ შევასწავლა წერაო,
 მოძმის ძმურად სიყვარული
 ზრძნობით გულისა ძგერაო.

მე და მყვანდა ნიკიერი
თუმც არ იყო მსწავლულია,
ძაც მოყვარე გრძნობით საესე
მჯახის ბურჯი სრულია.

მრთხელ მითხრა: მოდი ძმაო
მინდა რამე გიზიარო,
ძეთილ გზაზედ დაგაყენებ
მინძლო ძმაო ზქდ იარო:

წიგნის სწავლა ნათელია,
შსწავლელობა ბნელია,
ანბანს გასწავლი, ეცადე
მაგრა მოჰკიდო ხელია.

ძეაბის მურის მონაღესით
მომიმზადა მელანია.
ხარის ბეჭი დაფად მქონდა
და ოსტატად მელანია.

ანაბანა და მიწყაღე
შემასწავლა ყველანია,
შემიყვარდა ლექსთა კრება
ზადვიკითხე ყველანია.

და როდესაც ამ გვარათ შეისწავლა ქართული წე-
რბ-კითხვა, იმას შეუეუარდა კითხვა წიგნებისა და თა-
ვის უკანასკნელს გროშს ჰსარჯავდა ქართულს წიგნ-
ბზედ. ის კონების გაღსნილობა, რომელიც გამოჩანს
იმის მღაბით ლექსებში, იყო ნაყოფი ქართული მწერ-
ლობისა.

გამოსულს ღარბი გლენის ოჯახიდან, იმას ღრმა-
 თა ჰქონდა გულში ჩასახული საწყალი კაცის ცნოგ-
 რება, დარდი და ვარბი და ნიადგ იმას დასტრიალე-
 ბდა ჰოეზია ი. დავითაშვილისა. კილო, ენა, ლექსთა
 წეობა, გამოთქმა გულის თქმათა ეოველივე იყო ხალ-
 სური; კაცს ეკონება თვითონ ხალხის ზიწიდან ეს-
 მის ეს სმებო. ამასთან, იმ გვარს სახალხო ლექსებში
 იყო შესამებით ჩართული ამ გვარი აზრებიც, რომელ-
 ნიც მკითხველს უნდა უსილებდნენ თვალს იმ გარე-
 მოებაზედ, რომელსაც ესება ჰოეტი, და ეს აზრები
 ივენენ ისრე წარმოთქმული, როგორც კი შეუძლიან
 წარმოსთქვას შეგნებულმა უბრალო მდამიო გლენმა.

იმის ლექსებში ისახება გულის ტკივილი და და-
 რდი იმ ხალხისა, რომლიდანაც თვით ჰოეტი იყო
 გამოსული.

თუძცა ხელობა ამისი იყო სსვა, მაგრამ იმას ის-
 რე შეუუვარდა ის საზოგადოება, სადაც მცირეც აჩის
 მოძრაობდა კონება და საზოგადო საქმეთა წაღმართე-
 ბა, რომ ვერ მოჰმორებოდა ამ საზოგადოებას, ჩჩეო-
 ბდა აქ სიმშის, სსვაცან კეთილს ცნოვრებას და ამის
 გულისთვის ის არ ვრდიდებოდა თვით უბრალო მუშურს
 საქმესაც.

ეოველს ლაზარაკს, ეოველს მსჯელობას რომელ-
 საც ჩვენს ინტელიგენტთა შორის მოჰკრავდა უურს, და-
 ვითაშვილი ხარბათ ეწაფებოდა; იყო უურად-ღებათ
 გადაქცეული, და რასაც შეიგნებდა, გადასცემდა თავის
 მოძმეთა.

სამწესწაროა ის მოკლენა, რომელიც ათასობით
ჭნთქავს და უკარგავს ქვეყანას ამ გვარს ნიჭს. სანუ-
გემოა, როდესაც ჭხედავ, რომ ამოდის ბრწეინვალე და
ცხოველი ნაბერწკლები იმ წრიდგან რომლიდაძაც იყო
გამოსული იოსებ დაფითაშვილი...

კარდაცვალებული იოსებ დაფითაშვილისაგან, წარ-
სული თებერვლის უკანასკნელ რიცხვებში, „თეატრის
რედაქციამ მიიღო დაწერილი მოკლე შენიშვნა, თე-
ლაჟში გამართულ ბალსე წერა-კითხვის გამავრც. სა-
სოგად. სასარგებლოდ. ეს შენიშვნა იყო დაბეჭდილი
„თეატრის“ № 8-ში, და-ამასთანავე წერილი, რომელშიაც
ჩიოდა თავის სიღატაკსედ, მაგრამ არც ერთი სიტყვა
არ უთქვამს თავის ზვადმოყოფობასე. და ჯერაც არ ვი-
ცით ასე უცვებ რამ მოუღო ბოლო.

ამ უკანასკნელს დროს მუშაობდა თელავში ვარ-
დენ გოცირიძესთან...

გარდაცვალებულ იოსებ დაფითა-შვილზე

† გლახაკთა მეგობარო,
გლახაკთა ჭირის მომთქმელო,
დაგეკრიფა გულ-სელი,
სულით გულით ქართუელო!

შენი მეტეველი სიტყვა
საუკუნოდ მოგვაკლდა;
შენი გულისა ღელვა
გაჭქრა და მთლათ გაქარწულდა.

სიღარბით აღსდილო
შწარე სიცოცხლე გკონდა..
შენებრივ მუშებისთვის
მუდმივ გული გეწოდა

ცივ იატაკზე იწექ
მონებში გახეული;
ვინ თცის გულს რას ჰკრმნობდი
სიკვდილით მოწყული.

ას სიკვდილო ბოროტო
მხარი რათ მოგვიძაღუ:
გლახაკე ჭირისუფალი
წავგართვი მოგვაძორე.

1887 წელს.

მარტის 17 დღესა

გომელი

კ რ ი ტ ი კ ა

I.

დას, ჩვენს განათლებულს საზოგადოებაში ზშირად ისმის გულის ტკივილი, რომ ჩვენს ლიტერატურას კრიტიკა აკლიაო. ამ ნაკლის მიზეზად ზოგი იმას ამბობს, რომ ჩვენი ლიტერატურა კრიტიკისთვის მეტად ცოტა სასდოს იძლევა; ზოგი იმას, რომ რიცხვს იძენად მნიშვნელობა არა აქვს, რამდენადაც თვით ღირსებას, ესე იგი, ლიტერატურის შინაარსსაო და აი ამ მხრით ჩვენი ლიტერატურა მეტად სელმოკლეა და კრიტიკას ჩვენს ლიტერატურაში ჯერ არავითარი საქმე და საბეიელი არა აქვსო.

ისინი კი, ვინც პარტიის ფავსანის სიბრძნით კი არ დაჰკვირებიან ჩვენს ლიტერატურას, არამედ გამჭრიახის გონების თვალთა, ვინც ცოდნითა, სწავლითა და მეცნიერებით გაწურთანილები

და გაწმენდილები აზიან სეღვისა და ჩხრეკისათვის, ამბობენ, რომ კრიტიკის უქონლობა ჩვენის ლიტერატურის უშინაარსობას ვი არ უნდა დაბრალებდეს, არამედ ჩვენს ქონდრის-განცობას, რომელიც იმოდენად უძლეურია, იმოდენად უღონოა, რომ ვერც ჩვენის ლიტერატურის სიღრმისთვის გონების თვალი ჩაუწვდენია და ვერც ჩვენის ზოგნიის სიმაღლისთვის თვალი გაუსწორებია.

იმის თქმას, რომ ჩვენი ლიტერატურა კრიტიკისთვის ცოტა საზღაოს იძლევა, საბუთი არ მიუძღვის; ცოტაა თუ ბევრია მანერ განჩევა და გარკვევა უნდა. არც ის აზრია საბუთიანი, ვითომ ჩვენი ლიტერატურა მეტად ხელ-მოკლე იყუეს, და კრიტიკისთვის საჩქეს და საზბიელს არ წამოგვიდგენდეს. ჩვენ არას ვიტყუით ჩვენს ძველს ლიტერატურასე, რომელსაც ასეთის სიუხვით ასწიგონებს „მეფესვის ტყაოსანი,“ — ეს უძირა მორვევი, აზრისა და გრძნობის ზღვა; ჩვენ არას ვიტყუით არც დავით გურამიშვილსე, რომლის დიდაკტიური ზოგნია ზირს არ შეიწინებს, თუნდ ლუკრაციუსის, ვირგილიუსის და ქორაციუსის დიდაკტიურს ზოგნიას რა დაუყენათ ზირის-ზირ; არას ვიტყუით მეფე გასტანგ VI-სე და არზილ მეფესე, რომელთაც ვერავინ დასწამებს აზრების და გრძნობის სიმატეს და რომელნიც მოელანს გონება-მასვილს კრიტიკოსს. საგმაოა გავისსენათ ამ მეტრამეტე საუყუნის ჩვენი ზოგნია და მის წარჩინებული წარმომადგენლები თ. ალექსანდრევიძისთან დაწყობილი თ. ილია ჭავჭავაძემდე და მასინ ცნადად დაეინასავთ, რომ კრიტიკის უქონლობა ჩვენის ლიტერატურის უშინაარსობას არ უნდა დაბრალებდეს.

უსაფუძვლოა აგრეთვე იმის თქმა, რომ ვითომ კრიტიკის უქონლობა იმის ბრაღი იყუეს, რომ ვითომ ჩვენი „ინტელიგენცია“ მეტად სუსტი იყუეს გონებრივის თვით მოქმედებისათვის და რომ ვითომ ჩვენში არ მოიპოვებოდა იმისთანა ზირნი, რომელთაც კრიტიკისთვის საჭარა უნარი ქონდეთ, ის უნარი, რომელსაც თვით მსჯელობას, თავისით მოქმედებას, თავისით სვლას ეძისიან.

ამ აზრის მიმდევრებს წინააღმდეგ მტყუელება მოსდით: ერთის მხრით ისინი დიდის მტერ-მტყუელებით ამტკიცებენ, რომ ვერავის შეუძლიან ჩვენს ლიტერატურას უშინაარსობა დასწამოს,

რომ „თუცა ვერ ვიტყვით, რომ ბუკრი რამ ჯერ კიდევ სხანატრული არ იყოს ჩვენის ლიტერატურისთვის სწორად და ზოგისთვის ცალკედ, მაგრამ ისიც, რაც გვაქვს ჩვენ დღეს, ღირს შესანიშნავი განძია“. ისინი მთელს ქვეყანას ატყობინებენ, რომ ჩვენის ლიტერატურის ზოგიერთი ნაწარმოები „უძირე მორეკია, ზღვა აზრისა და გრძნობისა“, რომ დიდს ცოდვას ჩადენს, ვინც მას აზრებისა და გრძნობების სიმხატვრეს დასწამებსო. ისინი გარჩევას არას სდებენ ამ მხრით ძველსა და ახალს, ამ დროულს, ლიტერატურას შორის. ეს ძალიან კარგი და ნამდვილიც, მაგრამ მერე მხრით ისინი ეწინააღმდეგებიან თავიანთ თავს იმის თქმით რომ ვითომ ჩვენში საკუთარის მსჯელობის უნარი არ იყავს. ნუ თუ შესაძლებელია რამდენადმე „ღირსშესანიშნავი განძი“ ლიტერატურის განხედეს იმ ერში, ან ინტელიგენციაში, რომელსაც „უნარი თვით მსჯელობისა არა აქვს განსნილი და გადაშლილი?“ ნუ თუ ზოგისაში მადლის აზრებისა და გრძნობების გამოხატვლად საჭირო არ არის „თვით მსჯელობისა უნარი?“ ნუ თუ ლიტერატურის სასული დაერქმის იმ ლიტერატურას, რომელიც დაბადებულია იქ, სადაც გრძნობასა და ჭკუას არ წაიმძღვარებენ, არც საკუთარს მსჯელობას იქონიებენ?“ არა, არა და არა. თუ ჩვენი ლიტერატურა ღირსშესანიშნავი განძია, გრძნობითა და აზრებით საესკა, მაშინ ქონდრის-კაცობასაც, თვით მსჯელობის უნარის უქონლობასაც ვერაუბნ დაგვწამებს.

ქონდრის-კაცობა, უუნარობა ბუნებრივი ნაკლულებანება; თუ გაცნობ კერთელ დაუმტკიცდა ეგ თვისება, გათავებულია მის საქმე. ქონდრის-კაცი ვეღარ აძინთავს ტანს, უუნარო ვეღარ შეიძენს უნარს. სხვას რომ დაეწამა ჩვენის „ინტელიგენციისთვის“ ქონდრის-კაცობა ჩვენ დაწმუნებული ვართ, რომ ყველასე უკეთესად ამ ცილს ისინი გააქარწყლებდენ, ვინც დღეს შინაურულად ამასვე სწამებენ ისევე იმ „ინტელიგენციას“. ესეც მერე წინააღმდეგ-მეტყველებს იმ შინა, რომლებიც შარბიის ყავასანის სიბრძნით ვი არ დაჭკვირებიან ჩვენს ლიტერატურას, არამედ გამოჭრისის გონების თვალთ.

რას არის ნამდვილი მიზეზი იმის, რომ ჩვენს ლიტერატურას კრიტიკა აკლია, ვერდებით შექმნეს წერილში ვთქვით.

ყ რ ი ე ლ ა კ ო ს ტ ა

(გაგრძელება).

ს ა ნ ტ ო ს .

კ ბ აღსარება

ამტკიცებს მხოლოდ შენს სიამაყეს.

ა კ ი ბ ა .

აკოსტა, გრძელი გზა აირჩიე!
მაშინ ის, რაც შენ აქ აღიარე
სულის საუნჯეს მიემატება.
შვილო, გრძელი გზა გირჩევ ირწიო
და დამერწმუნე, რომ იგი მოჭეფენს
მშვიდობას შენსა მღელვარე სულსა!
ისეთს სკეპტიკებს, როგორც შენ ხარ,
უგელაფერს უსმობს ცოდნის წუურვილი;
აბა ბილე ტალმუდი—შენ იქ
ნახამ მრავალს კაცს გზა-დაბნეულსა
მხოლოდ მისთვის, რომ ბევრი სცოდნიათ...

(მიჰმართავს სხვა რაბინებსაც.)

ძველად სტროგოობდა დიდი სკეპტიკი,—
ერქვა ელიზა ბენ-აბუია.
ის ერთის ჩვენის სწავლულ რაბინის
მოწაფე იყო, მასაც მოწაფედ
ჭეფანდაც ბრძენი რაბი მეღირი.
მისთვის რომ იგი იჭვიანობდა,—(აღგება)
საღვთა დასწეველა... ბენ-აბუიაც
ისეთი იყო, როგორც შენ ხარ.
მისსა სასულსა ისენიებდნენ
ზიზლითა და მას დაერქვა ახერ;
ახერ-ნიშნავს სსკას; სსკა სასულითა
იგი ტალმუდში არ ისენება;

ესრედ დარჩა სსკად ბენ-აბუის
 და როცა მოკვდა მის საფლავიდან
 კვამლი დიდხანსა ამოდიოდა,
 ვიდრე მოწაფემ მისმა მეღირმა
 არ შეუძინა იმ სოფლის ტანჯვა.
 იგი მოწაფე მასწავლებლისთვის
 ფოცხულობდა გულ-მოდგინებითა—
 და საუკუნოდ გაჭქრა ის კვამლიც.
 მისებრ ასერი შენც ხარ, ურბიელ!...
 ჭო, დიად, ყოველივე ყოფილას!.. (დაჯდება.)

ურიელ.

თქვენა გგონიათ მე დიდებისთვის
 ვმოცილეობდი? ასეჩის კვამლი
 იყო მის სულის მტყნებარე ალი,
 რომელიც თქვენ თვით დამარსეთ. დიად,
 მე ასერი ვარ, თქვენ მართალს ამბობთ.
 მე სსკა ვარ, მუდამ სსკა იმისათვის,
 რომ მხოლოდ ამა სსკა ცხრეგებაში
 ვხედავ წინდს მარად მოძრაობისას...
 რაკი ტალმუდი განუმარტებლად
 არ შეიძლება,—დამიგდეთ ყური:
 მე მგონია, რომ თქვენი ასერი
 არასდროს ქვეუნად არა ყოფილა;
 ასერი—ეს სომ სიმეოლო არის
 აწროვნობისა: სომ მხოლოდ მასში-
 რაც ვარ, მე არა სსკა შია ვნახვ
 როგორიცა ვარ და გავიგებ მე
 ჩემს განსსვებას და ჩემს სიმართლეს
 შევიგნებ. სსკა—ეს უფწმინდესი
 სიმეოლო არის იტყნეულობის,—
 და იტყვი სომ თვით სარწმუნოებას
 სულს უდგამს. თქენსედ თქვენი ტალმუდი
 რასაკვირვლია ტყვიანია;

ამისათვისაც იგი ასევე,
რომელიც მხოლოდ მიივია, სასე—
და სსვა არა რა—ერთს და იმავე დროს
მის მასწავლებელს ბრძენსა უწოდებს
და მის შიშავეს უფრო ბრძენად სასხვს;
ორივე არიან ღვთისა მოშიშნი,
მისთვის რომ ღვთისა მოშიშრობას
ანიჭებს ყოველს კაცს მხოლოდ იჭვი.

აძიბა.

დე-სანტოს! მგონი ასე სთქვა, არა?
ბენ-აბუა არ ყოფილა?...
კაცს ტალღისებურად აღიარებულს,
მიივდა სასხვს და სსვა არა რად?..
და მას, რაც სისხლი და ხორცი არის
მორწმუნეთათვის და რის ნასკარა
სუველას ძალ-უძს,—ყოველივე ეს
მხოლოდ დრუბელი, კვამლი არისო,
რომელმაც მხოლოდ შემდეგ მიიღო
კაცის სასეო?... არა, ეს არა
სულ ახალია, არვისგან თქმული,—
ეს არა უნდა მან შეინახოს..
მიეცით აქტი უარ-ყოფისა!

სანტოს (აძივს ურიელს ქალადს).

მხოლოდ ერთს ბედსა თუ შეუძლიან
შენ დაბლა თავი დაგასრეინოს;
თორემ სიმშვიდეს-ვერასგზით ვერა.
რაც შენ შირითა აქ აღვიარე
მას შენი გული არ თანაუგრძნობს.

(უჩვენებს სცენის უკანა ნაწილზედ).

აკერ იქ, სადაც კიდობანი დგას
და სადაც სალსი ესლა გროვდება,
იქ აღვიარე შენი ცოდვები,

რომელთაც ატრე ცხიერებითა
 შენს თავს აბრალვბ.

ურიელ-

მე კალჯარო ხალხის წინაშე? უბბე გტოვლება?

აკიბა.

ჟერ მარტო თვითონ შენ წაიკითხე,
 რაც აქ ხმა-მაღლა ხალხის წინაშე
 გსურს აღვიარო ცხადად, გარკვევით...
 ეგ რა სთქვი შენა, რა მოიგონე:
 ასერს ქვეყნად არ უცხოვრიაო!
 შენ ხომა ცხოვრობ? მას რაღად გინდა
 ბენ-ახუია მიფად გახადო?

აკიბა.

აკი ვსთქვი! მას ასერიც უოფილა!
 წადი-ურბი ჭყავ, ჩემო შეილო,
 მსოლოდ მისთვის რომ შენი გონება
 უფრო გაფსიზლდეს, — შემდეგ დაიწყო
 ტალმუდის კითხვა გულ-მოდგინებით...
 ქვეყანაზედა ვეკლა სკეპტიკებს
 თვის სწავლა ბოლოს უარ უყვიათ...
 ახალი მსოლოდ იქ, ზეტაშა!..
 აქ უოკელიცე უოფილა, დაიდა!.. (წასვლის დროს).
 არ დაივიწყო ტალმუდის კითხვა
 გულ-მოდგინებით, ჭაბუკო ასერ!..
 დაიდა, უოფილა უოკელის ფერი! (ტადის)

ზამოხელა მისავე

ურიელ (მარტო), შემდეგ რუბენი

ურიელ (ეტრატს დასტქერის).

ჩემო შემტრცხენო აღსარება! შენ
 ჩემს გულზედ წელულად ხარ აღბეჭდილი

და მასეჲდ უფრო მკვიდრათა სდგესარ,
 ვიდრე ეტრატზედ, რომელსეც ისრით,
 გესლიან დანით და გკლისა ენით
 მე დაგინასე შენ დაწერილი!..
 ოჲ, ამ დაჭრილს გუელს კვლარ განკურნავს
 კვარ მალამო და თუ გინდ მოხდეს,
 რომ დრომ განკურნოს მის ჭრილობანი,—
 იმ ჭრილობათა დაღნი მაინცა
 არ იქნებიან დაღნი მაშვენნი
 უშიშარისა მეზრძელის გმირის!
 წუსელის ჩემსა საზერობილეში
 სიზმარში ვნასე მე დედა ჩემი;
 დამსუიდებუელის და წუნარის სასით
 მოვიდა ჩემთან ნუგემ-საწყემლად,—
 მას გვერდით უდგა ჩემი ივდითი,
 შარავანდედით გაბწწინებულთ...
 გამომეღვიძა და კვლავ ვისილე
 რთისი კედელი საზერობილისა,
 ბოღმით აღმეკვსო სული და გული
 ვით გალილეისს.. გალილეი! შენ
 გაწამეს, გტანჯეს და გათქმევიწეს,
 რომ დედა-მიწა არა ბრუნავსო,
 მაგრამ როგორც კი წამს შეგასვენეს,
 შენ მაშინათვე წამოხტი ზეზედ
 და კარდინათა კრებულის შორის
 შენმა სიტყუებმა გაინმაურეს
 მესისავითა: «მაინც ბრუნავსო!»
 მე ეს სიტყუები «მაინც ბრუნავსო!»
 წამს არ მამღვეენ მოსვენებასა,
 და ეოკელს ჟამსა ეურში მიდგია
 შენი სიტყუები: «მაინც ბრუნავსო!
 მაინც ბრუნავსო!»

(სცენის გარედ ბავშვების გუნდი უსაღმუნს გალობენ)

აი გალობენ!

ვიშ ამა ხმასა! ვიშ ამ გალობას
უმანკო სულთა! აწ იმა ყრმათა
რა იცინან, რომ აგალობებენ
გალობას შურის-ძიებისასა...
ხუთუ ასეთი არის კანონი
ვეკლასათვისა?.. რა, დემოტო ჩემო,
განა არ ხედავ, ვით გაკეთასნირდი?
განა შენ ბრძანე, რომ ზეგარდამო
არავინ ხელი არ გაუწვდიანოს
უბედურს კაცსა დასასხნელად?..

რუბან (სტენის გარეთ).

გამიშვიო!.. მისი ნახვა მწადიანი
გამიშვიო!

ურიელ

ჩემი ძმას!

რუბან (შემოდის)

ურიელ!

ურიელ

მე ვსაჭიროებ შენს სიუვარულსა
შეურაცხ-ყოფის წინად კი არა,
იმის შემდეგა.

რუბან.

იგინი შენთან

ჩვენ არ გვიშეებდნენ; ძმას ძმის ნახვასა
უშლიან!.. შესდეგ ძმაო ურიელ!
სახლობისგან ვარ გამოგზავნილი.
ჩვენ არ გვინდა, რომ შენ უარი ჰყო!
ნუ იზამ ჩვენის გულისათვისა...

ურიელ.

მე დედა ჩემსა დაუდებ აღთქმას
და...

რუბენ.

დედას! ვაჟე! როცა იგი
ცოცხალი იყო!.. სინამ მას სული
აღმოსდებოდა, შენსა ნახვასა
სულ ნატრულად, მაგრამ ამაოდ...

რუბენ.

ჩემი წერილი

შენ არ გადმოგცეს,— და ძალის-ძალად
მე შემოვედი... დიად უჩიელ,
იგი განშორდა ამ სოფელს, სადაც
წიქვლა ბებოდა!

ურიელ.

გადაიცვალა!..

მანც თუ ასეთს მწუნარების დროს
შესაძლო არის ნუგეშის ცემა,
თუ შესაძლოა ცრემლთან ღიმილი,—
მაღლობელი ვარ ჩემის ბედისა,
რომ დედა ჩემი გადაიცვალა
ისე, რომ იმას უკვე ვერც
შენახებული, როცა მე ტანჯვა
ჟერ არ შეცდა...

რუბენ.

უკან წაიღე

შენი სიტყვები. ჩვენ გაბში წავალთ
და იქნება იქ ახალმა ბედმა
გაკვიდიმოს ჩვენ...

ურიელ.

ეკ რა სთქვი შენა?

უკან წავიღო ჩემი სიტყვები?
რუბენ, სომ იცი, რომ ჩემი გული
მე არ მეკუთვნის; ერთი ნაწილი
იმა გულისა უკვე მივიღე

განსვენებულის დედინემისგან
 და მეორე კი მე მიმიტია... (საყვირის სმა ისმის)

რუბან (იჭქრს ურეელს)

ივდითისათვის?..

ურიელ.

მძალ გამოიშვი!

გამიშვი! სედავ აკერ მექასის
 სმა იდუმალი სიუვარულისა! (სწრაფად გავარდება).

გამოსვლა გეოტხე.

სცენის უკანა თარდა აიწევა. მოჩანს შიგნითა ნაწილი სინალო-
 ლისა. რამდენიმე საფეხური აქვს კიბეს, რომელიც მიდის იმადგი-
 ლისკენ, სადაც კიდობანი ინახება. ოთახი ძალიან არის განათებული.
 კარავში სხედან: სანტოს, ემბდენი და ორი რაბინი თავზე
 ზეწარ წამოფარებულნი. ურეელ და რუბენ.

სანტოს

წარსდექ წინაშე კიდობანისა,
 ურეელ აკოსტა! ისრაილი
 შენს სინანულსა ელის!

რუბან. (იჭქრს ურეელს).

მოიცა,

მოიცა... ივდიო...

ურიელ.

აი, აი ის,

სასკელი, მე რომ ბედად გამისდა!
 ჭა, მსდალო ფესო, დაუბრკოლებლად
 წინ წადექ... (ადის კიბის ერთს საფეხურზე).

რუბან.

ჭოი ბედისა უკუღმართობაჲ!
 მან ჟერ არ იცის მანასეს სახლში
 რა ამბავია. იგი საბრადო
 დედისათვისა უარსა ჭეოფდა—

დედა კი მოკვდა! მან ივდითისთვის
 გასწირა თავი—და ისიც იმას
 წაართვეს!

სანტონს (მიბრუნდება სინაღოღის შიგნითა ნაწილისკენ).

ყურად იხვენ, ისრაილ,

და განისრე კიდით კიდედმდე!

ურიელ (კითხულაბს აქტს უარ-ყოფისას; შორს მუსიკა
 წყნარად უგრამს).

მე ურიელი აკოსტა მქვიან,
 დაბადებით ვარ ჰორტუგალელი,
 სარწმუნოებით კი ებრაელი,
 აქ ვაღვიარებ ღვთისა წინაშე,
 რომ მის წყალობის დიხსი არა ვარ.
 ჟერეთ ურმა ვიყავ, რომ ვაღვიარე
 შირითა ქრისტეს სარწმუნოება,
 მაგრამ გულით კი მის მტერი ვიყავ;
 შემდეგ ასევე რა გულბითა
 კვლად მივიღე სარწმუნოება
 იაკობისა, მაგრამ არ ვიყავ
 არც ქრისტეანი, არც ებრაელი;
 რაივე ერი საშინლად მძულდა,
 ჩემი ერი კი უფრო ძალიან.
 ვეკლას, რასაც ის შატრის სტემადა,
 ვითა წმინდანსა, მე დავსტინოდი:
 ან რასაც სჯული ჩვენ გვიკრძალავდა
 მე თავსედლობით ვეუბრებოდი.
 სდაც გონება უძღური იყო
 უღმერთო აზრების გამოხსნატად,
 იქ მე ვიწყობდი დაცინვას, კილვას,—
 და შევთსე წიგნი, ეშმაკისაგან
 შთაგონებული... წუეულიც იყო
 სელი დამწერი იმა წიგნისა!
 იმას შექმლა დედანქმისთვის
 ბოლო მოკლა!



რუმენ (იქით)

შენ რა ბრალი გაქვს!

ურიელ.

«შესვრილია ის კალამი სისხლით,
 რომლითაც მე ის წიგნი დავწერე.
 უოკელივე ის, რაც მე მიმაჩნდა
 ჩვენის სჯულისა წინააღმდეგად—
 ვგრძნობ სიტრუვისა ქმნილებას არი.
 უოკელივე ის, რაც მე მეგონა
 გონების წყაროდ და ვეძახდი
 მწუგურვალთ იმ წყაროს დასწაფებოდნენ,—
 არის მსოფლად წყალი ჩამდგარი
 იმა ცსოკელთა ნაფესურშია,
 რომელნიც იმავე თავითვე გემულან.
 მე ჩვენი წმინდა გამოცხადება—
 სიტუკა უოკლისა შემოქმედის—
 არა-რად მჩანდა და იმის აზრებს
 ვადგედი სრულად სხვა მნიშვნელობას;
 წინასწარ-მეტუველთ ნაწერებსაცა
 სიყალბედ ვრაცხდი,—და ამასია
 ვბოკებდი უღმრთო სიამოვნებას...»

(ხმა უსუსტდება და ფეხზედ ძლივსღა დგას; რახინები იჭერენ, რომ არ წაიქცეს).

აწ ჩემი თავი თვით შევიძებე
 და მინდა ჩემი დანაშაული
 სინანულითა გამოვისუილა!
 და იმისათვის რომ დავიმტკიცოთ
 ჩემის სულისა სიმშვიდე, რომ მე
 მოძძეთ წინაშე არ ვიაძაყებ;—
 ვითა ცოდვილი შემნანებელი
 აქ... წმინდა ტაძრის კარის წინაშე..
 დავწკები შირქვე და სუფეველამა
 მე ზედ ფეხითა... (უგრძნობლად დაეცემა).

რუბენ.

რა მესმის ესა?

სანტოს (იღებს ქაღალდს და კითხულობს).

«აჰ, წმინდა ტაძრის კარის წინაშე
 დავწყობი პირქვე და სუვევლამა
 შე ზედ ფესითა გადაშიარეთ!»

რუბენ (მოთმინებიდამ გამოსული).

მოდექით! ან მეც მასთან მამკალით!

(საჩქაროდ გავარდება. ურიელი კი სინალოლაში წაიღეს. რაზინები თან
 გასდევნენ. მუსიკის მაგივრად სინალოლაში მლოცვევლთა ხმა ისმის).

გამოსვლა მესუთე

იოსხი და დე-სილვა (საჩქაროდ შექოდიან).

სილვა.

რა გინდა ქმნა შენ, ბენ-იოსხი!
 არა გრცხვინან? ჭკუაზედ მოდი!
 ნუთუ გონება დაგიბნელა შენ
 მომეტეებულმა ბედნიერებამ?

იოსხი (იეურება სცენის იქით).

აგერ, აგერ ის, ამაჟი, ზეჯი!
 რაო, კარგია გათახსირება?
 დაე იტანჯოს, დაე გაიგოს,
 რომ ანგარიში მას გაუცრუვდა!
 შენ რაღაც ფუჭი ოცნებისათვის
 გასწირე თავი! ივლით-ნემია
 და მის ხელში ბზა შენთვის არ ჭეჯვის! (გადის).

სანტოს (კიბეზედ მდგარი).

ოჰ, ნუთუ თქვენცა ბედისა ძაღლს
 იგანივე ხართ, რომელნიც ზეცის
 კარებს უღვანან გუშაგებადა?..
 თქვენ, ქერაბიმნო ბასრის მასვილით.—

ბ. რედაქტორო!

ეს ლექსი ჩემს ქალღმერთში ვიპოვნე და გიგზავნით როგორც ნიმუშს უწინდელის დროის სუმბობის მიწერ-მოწერისას რ. ე.

განსვენებულის დავით ჭიმშიერის შვილისაგან მიწერილი განსვენებულს დენერალ-მაიორს თამაზ ჭამბაკურ—ოცნებელსთან. *)

თქვენს ბრწყინვალეობას კბრძანა მოკითხვა და რაღაც ჭება,
 რაღა მადლი მოგასსენო, ან ჩემგან რა იკადრება?..
 არ ვინცადი შენმა მხემა, რომ შენ ლექსი ვიამება,
 თორემ ადრეკ მოგართმევდი, რაც რამ ჩემგან გეფურება.

მე ვინცობ შენს მოწიფალებს გულს, რაც გშენის, ის ვიამება,
 მრავლის შირის სანებარო, ჩემგან რაღა გეჭირება...
 ჭართველთ მოკითხვა მოგწერეს, სხვანი მუსლზე გეკონება,
 ხელს-შირს გკონიან ესენი, მანდ მოსვლას ვი ეღონება.

ბეგის ძმისწული ჭამადა, ზაღლის შვილი ნინია,
 რა გაგუარნენ, მას აქეთ არც ერთს არ გაუცინია,
 ზენტელა შვილი მაქსიმე, დარბის ვით თეთრი ფინია,
 შატრონს დაემებს ეფარა, არც იმას გაუღიმიან.

მუნთუაშვილის სახელი, ვეჭვ შენ უფრო კარგად იცი,
 მოგიკითხავს შენი ღა, სიყვარულზე განამტკიცო,
 თარხნის შვილმა ლუარსაბმა ორჯერ სთქვა დიდი ფიცი,
 თქვენი ბრძანა სიყვარული, სთქვა: „სხვა კაცი, არა ვიცი.“

მოგიკითხა კოჭლმა ზანამ, შენმა დიდმა მეგობარმა,
 ფიანიმე ფარხი შვილმა, სატიამ—არ გასასარმა,
 ფორაქალღიმ სურეშვილმა, კოლოლაძემ, არ სხვათ სადარმა,
 შეწერმაღე გეურქამა, თქვენგან ბევრჯერ დანაბარმა.

*) ვგონებ ეს ორბელიანი იყოფუბოდა მაშინ ფოთის ალბის დროს და იქ იქნება ეს წიგნი მიწერილი. რ. ე.

ისაია ყასაბ ბაში, სერთვის ბეგი ტურკანთანა,
ბრმა სერყანტი თოფხანისა, გელის აბანოს კართანა,
მუნთუაშვილი ოსეთა დგას ზურნა ქანარასთანა,
აღავერდაც კი მოგელის შენი ყმა და ბანდა სანა.

თქვენი გზის მყოფებელი დაეთთა მზარეულია,
ავეტოქ ბურთიკაშვილი; კმ ნონე გარეულია,
წატურ, ასატურ, სენატურ, ბანდურ დალეულია,
ადიბეკა და მისი ძმა, თქვენთვის ცრემლ-მორეულია.

ჯღერიაშვილი სტეფანე, ქორ ასანა, გიყ ახპურა,
ჩოფურა და ყარაგოზა, შენტვის კენესამ დაბურა,
უზბაშიანთ ისანი თქვა: „მთლად სოფელი დამეტურა,
მოკვკვლები უნასავადა, არ მოკლენო, კგონებ ვერა“...

მოძკითსველად დამავიწყდა, მე, შენი ძმად ნაფიცარი,
შაბუდაღაშვილი ანა, სკე-ბედისა დამემობარი,
ოხანეს ცხვირ მოჭრილი და აღია შენტვის შკვადარი,
შემომხივლეს: „ვავიწყდითო, ბევრჯერ ვიყვით ნასმობარი.“



ბ. მკითხველ!

მეჩვე ნომერში რომ გამოგელაპარაკე, ორიოდე ახალი
ამბის შეტყობინების შემდეგ გამოგეთხოვე და აღვითქვი,
რომ ყოველ ნომერში „თითო-ოროლა“ ახალ ამბავს გეტყვი
მეთქი. მხლა სწორედ ვითხრა ბეგრს ვიცემ თავში: ბიჭო!
რა გრჯის! რა შენი საქმეა ახალ ამბებზე ლაპარაკი, შენ რო-
მელი ფოსტა ხარ—ვეუბნები ჩემს თავს; მაგრამ რასაც კაცი
თავის თავს უზამს, მთელი ქვეყანა არ უზამს! მთელი ბუნე-
ბა და მასთან მთელი ჩვენი ქალაქი ემზადება მომავლის გა-
ზაფხულის, მომავლის აღდგომის დასახვედრად, „ჰაი-ჰარად“
ემზადებიან „გამოსაპრანქათ“ და სულ იმის ფიქრში არიან თუ
სააღდგომოდ რომელმა რომელ ბაღში იქეიფოს და მე კი აქ
რალაც „ამბებს“ გამოვდგომივარ. სწორედ ჩემისთანა კაცზედ

არის ნათქვამი! „შევს ბახალა მოუკვდა, ბუს მიუგდო, შენ
 იტირეო!“! 'აბა რა ჩემი საქმე იყო, რა, რა, რომ პირობას გა-
 ძღვედი. ნეტავი ჩემი სიტყვის ბატონი მაინც ვიყო, რომ
 დღეს ასე ეთქვა ხვალ ისე; მაშინ ჩემი საქმე კარგად წაგი-
 დოდა: ეხლა გეტყვადი თუმცა დაგპირდი, მაგრამ სხვა და
 სხვა მიზეზების გამო ვეღარ მოგართვი დაპირებული ახალი
 ამბები მეთქი. შენც შაჰხტებოდი და შემოპტრიალდებოდი,
 მაგრამ რას იზამდი!

მე აღვითქვი პირად და არა ნოტარიუსში დამტკიცებუ-
 ლი ქალღმერთით, ამისათვის ვერ მიჩივლებდი; თუნდ გეჩივლა
 კიდევ და მეც უარი არ მეთქვა, მაინც ხომ წეს-წყობილო-
 ბისა მებრ შენი შეილის შეილიც ვერ მოესწრობოდა
 „ლისტის“ აღებას. სწორედ ამ მოსაზრების გამო ძა-
 ლიან მომწონს „თავისი სიტყვის ბატონობა,“ მაგრამ
 მე კი მონა ვარ ჩემი სიტყვისა და ამისათვის არ შე-
 მიძლიან არ შეგისრულო დაპირებული. იქნება შენ არც
 კი გჯერა ჩემი სიტყვები, მაგრამ დაფიქრდი და დამერწმუნე-
 ბი:— არა! მე რომ ჩემი „სიტყვის მონა“ არ ვიყო, განა ვერ
 ვილაპარაკებ მუშტაიდ-ვაზა—დიდუბ-ორთაქალაში საზან ღრით
 და ღუღუკით „ქეიფზე?“ ვილაპარაკებ მაგრამ იმ ბაღებში
 დროს გატარება და ქეიფი „ახალი ამბავი“ არ გახლავთ; მა-
 შა სადამე იმ ლაპარაკით დაპირებას ვერ ავასრულებ და კი-
 დევ სწორედ აი ამისათვის თავს ვანებებ ამ მოსაგონათაც
 კი სასიამოვნო ამბებს და გელაპარაკები ვილაც ს...ზე, რაღაც
 ახალ ლიბერალ „ახალ-თაობაზე... „არა ვინ-მე, ვინ ისინი?!

მე ერთი ვილაც არავისგან ნაცნობი, ის კი გამოჩენი-
 ლი... სახლების შენებით... იმას თქვენც იცნობთ მგონია!
 მს ის ს. ბძან ღება რომელიც ერთს ქუჩაზე აშენებდა
 ბ. კ—ს სახლებს. ამ ბატონმა ისე ერთგულად დაუწყო
 სხვის სახლის კედელს ძირის გამოთხრა, რომ უბრალო
 მუშებმაც კი შეატყეს, რომ ეს უზარ-მაზარი კედელი
 ამ დამცირებას არ მოითმენდა, განრისხდებოდა და მთელი
 თავისი სიდიდით „მოიმზღვლეოდა“ მათ უმთარველო არ-
 სებაზე. მუშებმა კიდევ შეატყობინეს ბ. ს... ეს და

„კნიაზ ფოდრაჩიკს“ მაგრამ ამათ ყურადღება არ მიაქციეს. ან კი მითომ რაო, რათ უნდა მიექციათ ყურადღება?! ააცი დიდ შენობას იმისთვის აიღებს „ფოდრადით“ რომ დიდი ფულიც მოიგოს. თუ კი ყველა წვრილმანს გამოუდგება და ფულს არ გაუფთხილდება, ხომ ვერც-არას მოიგებს. სხვის სახლის კედლის ზამინების მიცემა სამი-ოთხი თუმანი დაჯდება და სამი-ოთხი თუმანი ადვილად საშოვარი არ გახლავთ ჩემო ბატონო; ახლა ესეც უნდა ვიფიქროთ: რომ არ დაქცეულიყო? (დიან ეს საფიქრებელია ამისათვის, რომ ვინც ფულის მოგებას შესდგომია, ის რაც თავის სასარგებლო არ არას „რომ არ“-ობით სწყყეტს...) თუმც საზამინო ხეები შემდეგში მასალად გამოდგებოდა მაგრამ მუშის ფული ხომ ტყუილად დაიხარჯებოდა.

არ ვიცი თქვენ რას იტყვით და მე კი არც ერთს: არც დ. და არც ს. არ ვამტყუნებ: ვინც ფულის მნიშვნელობა და ყადრი არ იცის ის კაცადაც არ ჩათვლება!

სულ ფული ფული და ფული!.. რას გიკვირს? მე მგონია არა გჯერა ჩემი სიტყვები!.. მჰ! ძმაო! როგორც გატყობ ჯერ გამოუცდელი ჰყოფილხარ ცხოვრებაში. მარწმუნებ ეს საუკუნე ფულის საუკუნეა. ფულს ვწირავთ ყველა ფერსა: სინიდისს, პატროსნებას, ცხოვრებას, — სიცოხლესაც კი. მაგალითებისთვის შორს არ წავალთ. ავიღოთ თუნდა ჩვენი ბევრი და მრავალი იმ ახალ გაზღებთაგანი, რომელთაც თავი მოაქეთ სწავლა განათლებითაც, შთამომავლობითაც და სხვა და სხვა—ერთი სიტყვით ისინი ვინც თავიანთი სიტყვითაც და ჩვენი ინტელიგენციის (!) სიტყვითაც—შეადგენენ, როგორც რუსები იტყვიან, „ნაღებს“ ჩვენი ყმაწყილ-კაცობისას. აი,

ავიღოთ მაგალითად ის, ვისაც თქვენც იცნობთ და მეც — „კნიაზ“ (თუმცა უთვის-ტომო) „პ“-ირი, თავისი ჭკუა უხეობის გამო გადაკეთებული „ე“-მირზე. ამ ვაჟ-ბატონმა ფულის გულისათვის არ დაღუპა ორა უმანკო სული? ფულის გულისათვისვე არ მორბოდა ქუდ მოშვლებილი და უკან კინტოები მოსდევდნ „დერჯი ემუ“-ს ყვირილით? ფულის

გულისთვისეც არ მიბრუნდა იქ საიღამაც მწვერებმა გამოიგ-
დეს და სადაც დასტოვა რევილვერი? თავისი მაშინდელი ჯი-
ბის სიმდიდრე? შულის გულისათვისეც არ არის ეს გმირი
მაინც კიდევ მიღებული ჩვენს (სხვასთან მე რა დავა მაქვს)
უპირველეს პირებთან? ჰო, ბატონო! ჰო, ჰო და ჰო!

*
* *

შეელა ეს კარგი, მაგრამ თავს რაზე ვიტკივებ?! ამ გვარ
„ვაჟებს“ ამითი არც დააკლდებათ რამე და არც მოემატებათ:
წარსულ სეზონში ერთ ჩვენ ახალ აქტორ ქალს უთხრეს:
ჯერ შენ ახალი ხილი ხარ ჩვანი სცენისათვის, როლები კარ-
გად მოამზადე ხოლმე, ტანისამოსი კარგად შეინხამე ხოლმე-
თორემ თუ საზოგადოებას ეხლავე არ მოეწონე, მერმე ძნე-
ლი-ლა იქნება შენგნით იმათი დაკმაყოფილებაო. ახალმა
სცენის „კაკა“-მ არც აიღო და არც დაიღო, პირ-და-პირ უპა-
სუხა: „მზე ჩემკენ იყვეს თორემ ვარსკვლავებისა შიში არა
მაქვს... „საქმე რეჟისორია: თუ უნდა ამწვეს, თუ უნდა დამ-
წვეს (ამ სიტყვებით იმას უნდოდა თქმა: რეჟისორი კიდევ
ამამაღლებს საზოგადოების თვალში, კიდევ დამამდაბლებს).
ის ჩემკენ იყოს, თორემ ბევრს რამეს შეევეპოები ვილაც
ორიოდე კაცი რომ კუნტია სკამებზე!“ ამ ქალს გარგად რომ არა
სცოდნოდა ჩვენი ცხოვრება, ხომ სცენისათვის არც გამოდ-
გებოდა. ღიალ! ამ ქალის სიტყვები მართალია. საქმე „ბოზო-
ლებია“:

თუ გინდა ასს, ათასს გამოუტდეღ ქალს წაართვა ის
რაც აქვს მას უუძვირფასესი, მაინც ნუ გეშინიანთ თუ ფუ-
ლი გაქვს. ეს იმიტომ და იმისათვის, რომ ფული არის
ეხლანდელი პატიოსნება და ამ გვარი „პატიოსნების“ მქო-
ნეს ყველას სახლის კარი ღია გაქვს, ყველგან მიღებული
ხარ.

მაშ თუ ეს ასეა გადავიდეთ ისევ „ახალ ამბავზე,“ (იქ-
ნება ახალი არა გითხრა, მაგრამ მე ახალს ვეძახი, რადგანაც
ეხლად გავიგონე) ჩვენი ზნეობის წინ მსვლელობაზე.

* * *

სწორედ გითხრა თუ სხვა ნაირადა ვართ უკან დარჩენილები ამ მხრივ კი ბედი ძალიან გვიღიმის, ჩვენი ზნეობა და მიმართულება ისე უმჯობესდება, რომ... რომ.. ძალიან სანატრელო მომავალს უნდა ველოდდეთ:

ბუშინ წინ ერთი ვიქ-ბატონის დალაგებულ ლაპარაკს უგდებდი ყურს და აი რა გავიგონე: „ჩვენ თავის დღეში კაცის ზნეობას არ უნდა შევეხოთ... თავის შინაურს ცხოვრებაში კაცი როგორც უნდა იყოს.“ — ეს მართალია. ჩვენ უნდა ვემძვანებლობდნენ ამ სიტყვებით. ეს ბატონი ძალიან შორს ვამქვერვტი ვახლავთ და თუ რამეს გვიწარმეტყველებს უნდა თვალეზზე ხელები მივიფაროთ და მივიღოთ იმის სიტყვების აღსრულებას და, ეხლა ხომ ვართ და ვართ, და შემდეგ უფრო სანატრელს მდგომარეობაში ჩაეცვივით.

ჩემის აზრით, ვიმეორებ, ეს ყმაწვილი მართალია: ვინმემ სახლში, ცალკე, არა საჯაროდ რომ ათასი ქალიც გააუბედუროს ჩვენ რა, ჩვენ რა საქმე გვაქვს, რა გვენადლეება, ოღონდ ეს ამბავი არ ჩაიდინოს იმ ადგილზე, საიდანაც ჰქუხს და ჰსკექს შესახებ ჩვენი ზნეობის დაცემისა, უსინილისობისა, უპატიოსნებისა, ანგარებისა და ყველა ამ წუთის სოფლის უკუღმართობისა... სიტყვით ხომ ზნეობას გვიქადაგებს და საქმით რაც უნდა ის მოახდინოს... აი ბატონო, აქა მოხსენებული საბუთის გამო „ბობოლის“ შემოხსენებული სიტყვების აღსრულება მიმაჩნია ზნეობის დაცემისაგან დამხსნელად და ამისათვის აღარავის „შევეხები“... შემდეგ ნომრამდის.

გიგაურიანო უბნელი.

მ ა რ ტ ს

მობრძანდი, მარტო, დროისით
თოვლ-ჭყანაუნა და წელიანო,
ჭკუაზედ თხელო, სულელო,
ხანდისხან ქარიშხლიანო.

სექვერე ავამტეოფივით
 ღრუბლიანო და მსიანო,
 არც გასაფსულო, სამთარო,
 არც თუ ნათელა დღიანო.

. . .

მათ უკან დაედევნებ
 ძერცხალი ჭიკჭიკ ენისა,
 გასაფსულისა მომდევნი
 დამატებობელი სმენისა.

გულის ჭირთ უკუ გაძერელო
 ძეურნალი დამხალ სენისა,
 ძუდამ ერთ ხმაზედ მკალობი
 მოუფარე დედა ენისა.

ძსე ღრუბლით გამოერკვევა
 და გვიხამს წეალობასო
 მოძიანც გადმოფრინდება,
 დაგვირთამს კალობასო.

გრილი ნიაფიც მოგებერავს,
 (სწორედ სამოთხე იქნება)
 გული ხალჯთად იტოკებს
 და სისხლით კაიტეცნება.

გაზაფხულდება ორი მხრით,
გადაიშლება ველით;
ჭრელ კაბა ქათიბს ჩაიცვამს
ბუნება სავეარელიო...

გავალ ტყე-ველად ვინარებ
დავეკონები იასა;
ბულბული შორით იკუნესებს,
გასმსებს „ტია-ტიასა.“

ზაქელი.

წ გ რ ი ლ მ ა ნ ი

◆ დაიბეჭდა „თვით-განვითარება“ სმაილისისა, თარგმანი ივანე როსტომაშვილისა.

თვით-განვითარება ძალიან კარგია, რასაკვირველია, და უფრო მეტს სარგებლობას მოუტანდა საზოგადოებას, რომ ცოტა უფრო მსუბუქი ენით იყოს გადმოთარგმნილი. მსწიგნი შეიცავს 64 გვერდს და ღირს 20 კაპ.

◆ ამ დღეებში მივიღეთ ბ. ტოლსტოის 5 მოქმედებიანი დრამა „ВЛАСТЬ ТЬМЫ.“ ლ. ტოლსტოი ცნობილია როგორც უუნჩიერესი მწერალი. მინც კი ხსენებულს დრამას წაიკითხავს მას წარმოუდგება თვალ წინ რუსეთის დაბალი ხალხის ცხოვრების ნამდვილი სურათი იმ მხრივ, რა მხარესაც ბ. ტოლსტოი ეხება.

◆ „ივერია“ ში იყო დაბეჭდილი: „შაფათს, 14 მარტს, ვილაც სცენის მოყვარეთაგან ბანკის თეატრში ცხოველი

სურათები იყო გამართული „მეფხვის-ტყაოსნიდგან“ „ზანდე-
 გილიდგან“, „თამარ-ღაზნელიდგან“ და „სამშობლოდგან“.
 ხალხი საკმაოდ დაესწრო, მაგრამ თვით სურათები მეტად ულა-
 ზათოდ და უხამსად იყო დადგმული: არც რიგიანი განათება,
 არც ტანისამოსი, არც სხვა-რამ ღირსება არ ჰქონია ამ ცხო-
 ველს სურათებს, ასე რომ ცხოველი-კი არა, სწორედ მკედა-
 რი სურათები გამოვიდა. ღამსწრე საზოგადოება ჩიოდა და
 უკმაყოფილებას აცხადებდა, რომ ასე უმართებულოდ მოექ-
 ცნენ ეს ვილაც ვითომდა სცენის მოყვარენი თავიანთ მოვა-
 ლეობასაც და თვით საზოგადოებასაცა-“ო.

თუმცა ეს წერილი „ახალ ამბებშია“ მოქცეული, მაგ-
 რამ ახალი ამბავი არ გახლავსთ ამ გვარი ქცევა იმ ვაჟებისა-
 გან ვინც ეს ანბავი ჩაიღინა.

ჩვენ შევიტყუეთ რომ ეს სურათები ბ. პლ. მესხიშვილისაგან
 იყო დადგმული, თუმცა მესამე გვერდზე იმავე გაზეთისა თა-
 ვისი წერილით ამაზედ უარს ამბობს და „საჯაროდ იყრის
 თავიდან ამ ბრალს“.

* *

— განათლება ათინაში რასაკვირველია უველასათვის ცხა-
 და, რომ ბერძნები გამოუთქმელის სურვილით მიისწრაფიან განა-
 თლებსაკენ. ათინაში არსებობს მრავალი პირველ დაწესებუთი სა-
 სწავლებელი. საერო სასწავლებლები ზოგნი დაფუძნებულნი არიან
 ურობის სარჯსზედ, ზოგნი სასემწიფო სარჯსზედ. ათინაში გარდა
 ამისა არის სასულიერო სასწავლებელიცა (სემინარია), რომელ-
 შიაც ამზადებენ საერო მასწავლებლებსა; არის აგრეთვე გემნაზია,
 რომელშიაც სწავლობენ იმავე საგნებს, რასაც ჩვენ გემნაზიებში;
 იქვე არის სასწავლებლები: სამხედრო და პოლიტექნიკური, უმა-
 ლესი ნორმალური საშუონო, ქალების ინსტიტუტი არსაკეო-
 ნისა, ინსტიტუტი დედოფალი ამალიასი, 7 ლიცეა, უნივერსიტეტი.
 უნივერსიტეტი ათინაში დაფუძნებულია 50 წლის წინეთ; ესლა იქ
 ირიცხება 80 პროფესორი და 1,200 სტუდენტი; მომეტებული
 ნაწილი განათლებული ახალგაზდობისა პროვინციებში მიდის მას-
 წავლებლად.

ქალების სამასწავლებლო „ზაკედენიები“ გასაცანია არსაკეონის საქალებო ინსტიტუტი“. ეს იწოდება „არსაკეონის“—ად ბერძენი არსაკეონის ჰატივის საცემად, რომელსაც ინსტიტუტის დასაფუძნებლად დიდ ძალი იუული შეუწირავს. ამ ინსტიტუტის საქმეებს რჩევა განაგებს, რომელიც პროფესორებისა და ქალაქის ჰატივერემულ ჰირთაგან არის შემდგარი. გარეშე მოსიარულე მოწაფეები ისდიან თეეში ცხრა აზასსა. რადესაც მოწაფენი ათავებენ გურსს ინსტიტუტებში, მაშინათვე მიდიან მასწავლებლად პროფინციების საერო სასწავლებლებში, ანუ ემსწავლებიან აღმზრდელებათ დგებიან სსვა-და-სსვა სასლებში. არსაკეონის სასწავლებელს ისეთი სასელი აქვს დამსასურებელი, რომ მოსწავლეთ გურსის შესრულებამდისვე იწვევენ სსვა და სსვა სასწავლებლებში მასწავლებლად და აღმზრდელებად. საზოგადოთ ბერძენები ყოველთვის ცდილობენ ემსწავლებიან აღმზრდელებათ თავიანთი შემამულე იყოლიონ. ძალიან სშირად სდება სოლმე რომ ინგლისში მცხოვრები ბერძენები თავიანთის ემსწავლებიან აღმზრდელებს არსაკეონის ინსტიტუტიდგან მოიწვევენ სოლმე.

კათილი რჩევა.

ყური მუდამ გქონდეს ღია,
 კბილით დაიჭირე ენა...
 თან უზომოთ იქონიე,
 თავ მდაბლობა და მოთმენა.

სიცილს გაფთხილება უნდა,
 გუნტულში უნდა ტირილი;
 თუ ქება გინდა ვისმესი,
 ნება გაქვს იწყო ევირილი.

◆ პეშინის ჩრდილოთ რუსეთში გაცხავნის მიზეზი იყო მისი ღირიკული თხზულებები, რომელშიაც ახალ გაზდა პოეტი ძალიან თავის უფლებად აღვიარებდა თავის შენდულობას მთავრობის ზოგიერთ მოქმედებაზე. ეს დღეისები ძალიან გავრცელდა პეტერბურგში, პეტერბურგის გენ. გუბერ-

ნაცორს გრადს მილორადოვიჩს უბანეს გამოეძიებინა ეს საქმე. მილორადოვიჩმა მოიწვია თავისთან პუშკინი და პოლიცმეისტერს უბანა აეწერა და დაეუქტა ყველა ქალღღები, რაც კი პუშკინის სახლში მოიძებნებოდა.

— გრაფო! უთხრა პოეტმა, თქვენ ტყუილად სწუნდებით: იქ იმ დღესებს ვერ იპოვნით. უმფობესია უბანით მომოცნანო ქალღღი და საწერ-კალამი და ენლავ ზეპირად დაგიწერთ იმაზე უკეთეს დღეებს, რასაც თქვენ ეძებთ.

პოეტმა ეს სიტყვები თურმე ისე გულ-წრფელად წარმოსთქვა, რომ მილორადოვიჩმა სთხოვა დედოფალს შეემსებუებინათ სასჯელი ახალ-გაზა და პუშკინისათვის.

* * *

◆ ქალბატონო, მე თქვენი ტყვე ვარ..

— ჰოო? მაგრამ მე კი დატყვევებული არა ვარ თქვენთან!

◆ რა განსებაგებაა გაზეთებსა და ცოლ-ქმარ შორის.

გაზეთები ჯერ დაშორდებიან, მერე ღანძლამენ ერთმანეთს, ცოლ-ქმარი კი ჯერ ღანძლამენ ერთმანეთს მერე შორდებიან.

◆ რითი განირჩევა ქმარი ქარაფშუტა ცოლისა ხარისაგან?

ხარი კმაყოფილია თავის რქებით, ქმარი კი სულ სხვა რიგათ უყურებს ამ დამამშვენებელს საგანს.

◆ ქალების მუსაიფი.

პირველი. მე ამ დღეებში ამოვიკითხე დასაჯერებელი აზრი.

მეორე. როგორი?

— ისეთი, რომ ქალი ყოველთვისინ სიამოვნებით იგონებს იმ კაცს, რომელიც მან პირველად შეიყვარა.

— აბა რა სისულელეა!.. ქალს თავის დღეში არა ახსოვს-რა, ის ივიწყებს ყველას: პირველიდან მოკიდებული უკანასკნელამდის.

◆ ერთი ქარაფშუტა რეცენზენტი ძალიან აზვიადებდა თავის რეცენზიების მნიშვნელობას და ყოველ შემთხვევაში იკვენოდა: მარცხნივ და მარჯვნივ ვარიგებ ჭყუას და დიდებასაო.

— მართალია, შექნიშნეს მას. თქვენ ასე უნვად გირიგებიათ ჭკუა და დიდება, რომ თქვენ წილად აღარა დაგრჩენიათ რაო.

◆ ალერსისათვის ალერსი.—ერთხელ ერთი ქალი თავის ამხანაგ ქალთან მივიდა; უკანასკნელი შინ არ დახვდა, მიხვდა მოიხვდა, სახლის მორთულობა გამკვეერიანებული იყო და, ყოველ ადგილზედ თითოთ დააწერა: „ბიხპური“. მეორე დღეს მეგობარს ქალს შეხვდა და უთხრა:

— მე გუშინ შენთან ვიყავი და შენ კი ვერა გხანო.

— ვიცი—შენი სახელი სახლის მორთულებაზედ თითქმის ყველგან დაგეწერა, მიუგო ალერსიანათ მეორემ.

◆ ჭკვიანი მასწავლე. ერთი მოხელეს შვილი სისულიერო სასწავლებელში ეგზამენს იჭერდა. მასწავლებელმა ჰკითხა:

— სეითი, ქამი, და იაფეტი—ნოეს შვილები, ვისი შვილები იყვნენ? ყმაწვილმა ვერ მიუგო, დადარდიანებული დაბრუნდა მამასთან და თავისი თავ-გადასავალი უამბო.

— როგორ? ეს ვერ მიუგე?.. ვასილი, ივანე და დიმიტრი—პრისტოვის შვილები, ვისი შვილები არიან?! ჰკითხა გაფაფრებულმა მამამ.

— პრისტავისა!.. მიუგო შვილმა.

— მერე ასრე ვერ უთხარი?..

ყმაწვილი დაბრუნდა და სთხოვა მასწავლებელს მეორედ გამოეცადა.

— კარგი მიუგო მასწავლებელმა. აბა ენლა მითხარი: სეითი, ქამი და იაფეტი—ნოეს შვილები, ვისი შვილები იყვნენ?

— ჩენი პრისტავისა! მამაცად მიუგო ყმაწვილმა



თ ე ა ტ რ ი ს ფ ო ს ტ ა .

გურულს. თქვენ ახალ-გაზდა ბჰანდებით თუ მოხუცი ჩვენ არ ვიცით, ის განლაგეთ ლონდონში მომხდარი ამბავი და—არა თქვენი პასუხი. წერილებს პასუხებს ვბეჭდავთ იმ განყოფილებაში, სადაც ეხლა ამ პასუხს ჰკითხულობთ—„ფოსტა“-ში.

- ◆ გორგასლანს. არ დაიბეჭდება.
- ◆ გორი. საძ... რომელი „ორი“?
- ◆ თბ—ში. ვაჩ... მარტო „ნაცვრა“-ს დავბეჭდავთ.
- აწუ... დ. გამ... 6 და 7 ერთად არის.
- ◆ ქუთ. გელ. ჩვენ მოვიწონეთ, სხვამ დაიწუნა.

ქმრძლ. ზანცხაღება.

Принимается подписка на 1886-1887 г.

(ИЗДАНИЯ ГОДЪ ТРЕТИЙ)

ЕДИНСТВЕННАЯ-ЕЖЕДНЕВНАЯ

ТЕАТРАЛЬНАЯ ГАЗЕТА

4 ^{ВЪ ГОДЪ} **„ТЕАТРЪ И ЖИЗНЬ“** 3 ^{ПОЛГОДА} **РУБ. 3 РУБ.**

Въ газетѣ помѣщаются всѣ свѣдѣнія о всѣхъ театрахъ: столичныхъ, провинціальныхъ и заграничныхъ.

Москва. Большая Дмитровка, домъ Солодовникова.

Редакторъ-Издатель **Ө. Д. ГРИДНИНЪ.**

(3—1)

რედაქტორ-გამომცემელი ა. ნუბიერაძე

Дозв. Ценз. Тифл. 22-го Марта.

გრ. ჩარკვიანის სტამბა.